

სპორტის მზარდი როლი ევროკავშირში:

სპორტი და ევროპული ინტეგრაცია

სოფიკო ბურდული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიმე (პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მეორ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სოფიკო ბურდული

06.06.2018

სარჩევი

აბსტრაქტი	4
ლიტერატურის მიმოხილვა	10
კვლევის მეთოდოლოგია და ობიექტები.....	13
1. ევროკავშირი და ინტეგრაციის თეორიები	15
1.1. ნეოფუნქციონალიზმის თეორია.....	15
1.2. ინტეგრაციის თეორია.....	17
2. ევროკავშირის ინტერესები სპორტის სფეროში.....	19
2.1. ბოსმანის ქეისი.....	20
2.2. ველრეივისა და კოხის ქეისი.....	24
2.3. გაეტანო დონას ქეისი.....	25
2.4. ჰეილენსის ქეისი.....	26
2.5. სპორტის პოლიტიკის შემუშავების დამატებითი ფაქტორები.....	27
3. ევროკავშირის ინსტიტუტები და სპორტი.....	30
3.1. ევროპული კომისია.....	30
3.2. ევროპული პარლამენტი	34
3.3. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო	36
3.4. სპორტის სფეროში ევროკავშირის საბაზისო მნიშვნელობის დოკუმენტები.....	39
3.5. ევროკავშირის სპორტული პოლიტიკის ქვესისტემა.....	41
4. კვლევის შედეგები და განხილვა	43
5. დასკვნა.....	45
6. ბიბლიოგრაფია.....	47

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ევროკავშირის სპორტის სფეროთი დაინტერესების ძირითადი მიზეზები და მოტივები. მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის სპორტული პოლიტიკის ფორმირების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა, მაშინ როდესაც ევროკავშირის არც ერთი ფუძემდებლური აქტი არ ითვალისწინებდა სპორტის სფეროს მხარდაჭერისა და რეგულირების ასპექტებს.

ნაშრომი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ევროკავშირის სპორტით დაინტერესება განპირობებულია კონკრეტული შემთხვევების, ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის სფეროებთან სპორტის კავშირითა და მისი სპეციფიკურობით.

კვლევის მთავარი კითხვაა: რა განაპირობებს ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების სპორტით დაინტერესებას და როგორც ხორციელდება ევროპული სპორტული პოლიტიკის ფორმირება?

კვლევის კითხვაზე პასუხის გასაცემად, შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კვლევა დაეყრდნო „შემთხვევის შესწავლის“ ტექნიკასა და კონტენტ-ანალიზის მეთოდს.

ნაშრომი ევროკავშირისა და სპორტის ურთიერთკავშირს ხსნის ევროინტეგრაციის თეორიებით. კერძოდ, განხილულია ნეოფუნქციონალიზმისა და ინტერგავერმენტალიზმის თეორიები. თეორიულ ჭრილში განხილვის მიხედვით, ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა „გადაიღვარა“ პოლიტიკური რეგულირების ახალ სფეროში. ამასთან, სპორტი ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება. თეორიული ჩარჩო ვრცლად განხილულია ნაშრომის პირველ თავში.

ნაშრომში განხილულია, სპორტთან დაკავშირებული ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს კონკრეტული ქეისები, ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროკავშირის საბაზისო დოკუმენტები სპორტის სფეროში. შედეგების გაანალიზებითა და განზოგადებით პასუხი გაეცა ნაშრომში დასმულ კითხვას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირის სპორტით დაინტერესება გამოიწვია სპორტსმენთა კონკრეტულმა შემთხვევებმა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებმა. თითოეული გადაწყვეტილება კი კავშირში იყო ევროკავშირის ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვასთან და ძირითად პოლიტიკასთან. სპორტი გამოიკვეთა, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის მომიჯნავე სფერო. მას მიენიჭა, სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული მნიშვნელობა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სპორტი ევროპული ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ევროკავშირი სპორტს ევროპული ინტეგრაციის მძლავრ ინსტრუმენტად მოიაზრებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სპორტი; ევროკავშირი; ევროპული ინტეგრაცია; სპორტის პოლიტიკა; ევროკავშირის ინსტიტუტები; ევროკავშირის რეგულაციები სპორტში.

Abstract

Previous paper reviews the main reasons and motives of the European Union's interest in sport. The main goal is to identify the factors that form the European Union's sports policy, while none of founding treaties of the European Union foresaw supporting and regulating the sports sphere. The research relies on the opinion that the interest of European Union in sports is conditioned by specific cases, connection of chief fields of the European Union with sports and its specificity.

The main question of the paper poses as follows: what determines the European Union's interest in sports and how the European sports policy is formed? To answer the abovementioned question, qualitative research methodology was selected. Taking into consideration the peculiarity of the issue, the research was based on "case study" technic and methodology of content-analysis.

Paper explains the interconnection between the European Union and sports field through European integration theories. In particular, paper discussed theories of Neofunctionalism and Intergovernmentalism. To discuss the issue in theoretical cut, social-economic policy of European Union has "spilled over" into a new political regulatory sphere. Furthermore, sport is considered as a one of the tool of European integration. The theoretical framework is extensively discussed in the first chapter of the paper.

The paper discusses particular cases of European Court of Justice, European Union Institutions and the basic documents of European Union in sports field. Through analyzing and generalizing the results, we can answer to the question of this paper.

As a result of the research, it was established that the interest in sports of the European Union was motivated by the concrete cases of sportsmen and the rulings of the European Court of Justice. Each of the decisions was linked to the protection of European fundamental freedoms and major policy.

Sport has been identified as an adjoining sphere of the European Union policy. It has been granted social, economic, educational and cultural significance. The results of the study have shown that sport plays an important role in the process of European integration and European Union considers sport as a powerful instrument of European integration.

Key words: Sport; European Union; European Integration; Sport policy; European Institutions; Sport regulations;